



ECONOMIC POTENTIAL AND FUTURE DEVELOPMENT TRENDS OF THE BRICS COUNTRIES

Copyright © 2024 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: August 4, 2025
Published: August 16, 2025
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC20032025-71

Salome Tsikelashvili

PhD student at
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ORCID iD: 0009-0009-5175-1801
Email: salitsikelashili@gmail.com



ABSTRACT

The article is dedicated to the analysis of the economic potential and development trends of the BRICS countries, which is becoming increasingly important when assessing the modern global economic architecture. The diversification of the global economy and the transformation of power centers are clearly expressed in the BRICS grouping, whose 10 member countries — Brazil, Russia, India, China, South Africa, Egypt, Ethiopia, Iran, Saudi Arabia, and the United Arab Emirates — represent a significant force in both manufacturing and international trade and investment. The article discusses the theoretical foundations of the economic potential of the BRICS, including economic growth models, resource allocation, and the ability to adapt to changes in global demand. Special emphasis is placed on international trade turnover, foreign direct investment dynamics and development trends in innovative sectors. The analysis is based on modern statistical data and reports of international organizations, which ensures the objectivity and reliability of the research. In addition, the article reviews the role of the BRICS countries in reducing global economic imbalances and promoting sustainable development. The focus is on how these countries are trying to promote inclusive growth and financial stability through the coordination and cooperation of their economic policies. The final section presents the main trends that determine the future economic positioning of the BRICS in the world market and highlights the challenges that must be addressed for their long-term development.

Keywords: BRICS, economic potential, development trends, international trade, investments

REFERENCES

1. Abdo, I., & Wanebo, A. (2024). Shifting global dynamics: An empirical analysis of BRICS+ groups of countries, using long-term empirical data, to assess economic, trade and military metrics. *Cogent Social Sciences*, 10(1), 2333422. <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/23311886.2024.2333422>
2. An evolving BRICS and the shifting world order. (2024, April 29). *Boston Consulting Group*. <https://www.bcg.com/publications/2024/brics-enlargement-and-shifting-world-order>
3. Banque de France. (2024, February 13). Expansion of BRICS: What are the potential consequences for the global economy. *Banque de France Publications*.

<https://www.banque-france.fr/en/publications-and-statistics/publications/expansion-brics-what-are-potential-consequences-global-economy>

4. Ballasa, B. (1961) . TOWARDS A THEORY OF ECONOMIC INTEGRATION. (<https://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/j.1467-6435.1961.tb02365.x>)

5. Cochrane, L. (2024). Shifting global dynamics: An empirical analysis of BRICS+. *Cogent Social Sciences*, 10(1). <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/23311886.2024.2333422>

6. Dobrowolski, Z., Kowalski, P., & Nowak, A. (2025). Econometric analysis of BRICS countries' activities in maritime shipping and associated environmental externalities. *Energies*, 18(3), 656. <https://www.mdpi>.

com/1996-1073/18/3/656

7. Fliagin, D., Ivanov, V., & Petrova, E. (2025). Impact of intra-BRICS trade on the share of United States dollar reserves: A dynamic panel data analysis. *BRICS Economic Review*. <https://brics-econ.arphahub.com/article/143810/>

8. International Labour Organization (ILO) <https://www.ilo.org/>

9. Kumar, S. (2024). Is BRICS expansion significant for global trade and GDP? *BRICS Economic Studies*. <https://brics-econ.arphahub.com/article/139877/>

10. Krugman, P. (1980). Scale Economies, Product Differentiation, and the Pattern of Trade. <https://www.aeaweb.org/aer/top20/70.5.950-959.pdf>

11. Karchava, L., Veshapidze, S., Tsikelashvili, S. (2025) Georgia's Perspective in the Context of Developing Economic Ties between China and the European Union (<https://www.neweconomist.com.ge/media/documents/01-2025-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94.pdf>)

12. Nach, M. (2024). BRICS economic integration: Prospects and challenges. *Journal of Global Economic Studies*. <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/10220461.2024.2380676>

13. Saba, C. S., Adegbite, E., & Yusuf, A. (2025). Artificial intelligence (AI)-poverty-economic growth nexus in selected BRICS-Plus countries: Does the moderating role of governance matter? *AI & Society*, 40(3), 4729–4763. <https://link.springer.com/article/10.1007/s00146-025-02213-0>

14. United Nations Conference on Trade and Development. (2023). *BRICS investment report*. United Nations. <https://unctad.org/publication/brics-investment-report>

15. UN - Trade and Development (UNCTAD). <https://unctad.org/>

16. Thakur, D. (2023). Impact of financial inclusion on human development index: Special reference to BRICS countries. *BRICS Journal of Economics*, 4(2), 209–223. <https://doi.org/10.3897/bricsecon.4.e96288>

17. Udeagha, M.C., & Ngepah, N. (2023). The drivers of environmental sustainability in BRICS economies: Do green finance and fintech matter? *World Development Sustainability*, (3), 100096. <https://doi.org/10.1016/j.wds.2023.100096>

18. Osepashvili, D. (2025) The Role of BRICS in the New World Order (<https://journals.4science.ge/index.php/sociopolitologos/article/view/3965/4010>)

19. International Monetary Fund. <https://www.imf.org/en/Home>

20. World Bank. <https://www.worldbank.org/ext/en/home>

ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალი და სამომავლო განვითარების ტენდენციები

სალომე ციყელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკის დოქტორანტი

ელ.ფოსტა: salitsikelashvili@gmail.com

აბსტრაქტი

სტატია მიძღვნილია ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალისა და განვითარების ტენდენციების ანალიზს, რომელიც სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება თანამედროვე გლობალური ეკონომიკური არქიტექტურის შეფასებისას. გლობალური ეკონომიკის დივერსიფიკაცია და ძალაუფლების ცენტრების გარდაქმნა ნათლად გამოხატულია ბრიქსის გაერთიანებაში, რომლის 10 წევრი ქვეყანა — ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა, ეგვიპტე, ეთიოპია, ირანი, საუდის არაბეთი და არაბთა გაერთიანებული საამიროები — წარმოადგენენ მნიშვნელოვან ძალას როგორც წარმოების, ასევე საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების მიმართულებით.

სტატიაში განხილულია ბრიქსის ეკონომიკური პოტენციალის თეორიული საფუძვლები, რაც მოიცავს ეკონომიკური ზრდის მოდელებს, რესურსების განაწილებასა და გლობალური მოთხოვნის ცვლილებებთან ადაპტაციის შესაძლებლობებს. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია საერთაშორისო სავაჭრო

საკვანძო სიტყვები: ბრიუსი, ეკონომიკური პოტენციალი, განვითარების ტენდენციები, საერთაშორისო ვაჭრობა, ინვესტიციები.

ამასთან, ბრიქსის ქვეყნები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო ვაჭრობაში. ბოსტონ კონსალტინგ ჯგუფის ანგარიშის მიხედვით, 2024 წლისთვის საქონლის ვაჭრობა ბრიქსის წევრებს შორის თითქმის ორჯერ აღემატებოდა ბრიქსისა და G7-ის ქვეყნებს შორის ვაჭრობის მოცულობას (Boston Consulting Group, 2024). ეს ტენდენცია მიუთითებს ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებაზე და ახალ შესაძლებლობებზე, რომლებიც შესაძლოა მომავალში გააძლიეროს მათი გავლენა მსოფლიო სავაჭრო სისტემაში. (Abdo, I., & Wanebo, A. 2024). ამრიგად, ბრიქსის ეკონომიკური პოტენციალის შესწავლა აუცილებელია არა მხოლოდ მათი ინდივიდუალური განვითარების გაგებისთვის, არამედ გლობალური ეკონომიკის მომავალ ტრაექტორიების განსაზღვრის თვალსაზრისითაც. სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ აღნიშნული ქვეყნები არა მხოლოდ ზრდის

მაჩვენებლებით, არამედ სტრატეგიული რესურსებითა და გლობალური ბაზრის დივერსიფიკაციის უნარით, ქმნიან საფუძველს ეკონომიკური ძალთა ახალი ბალანსისთვის.

თავი I. ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის თეორიული საფუძვლები

ეკონომიკური პოტენციალის ცნება და თეორიული მიდგომები

ეკონომიკური პოტენციალი წარმოადგენს ქვეყნის შესაძლებლობათა ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრავს მის უნარს უზრუნველყოს მდგრადი ეკონომიკური ზრდა და კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე. კლასიკური ეკონომიკური თეორიები ყურადღებას ამახვილებენ წარმოების ფაქტორებზე – მიწაზე, შრომასა და კაპიტალზე, ხოლო ნეოკლასიკური მიდგომები უფრო მეტად უსვამენ ხაზს ინოვაციებს, ტექნოლოგიურ პროგრესსა და ინსტიტუციურ ჩარჩოს (Solow, 1956).

გლობალიზაციის ეპოქაში ეკონომიკური პოტენციალის განსაზღვრისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არა მხოლოდ რესურსების რაოდენობა, არამედ მათი ეფექტიანი გამოყენება და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის ხარისხი. სწორედ ამ კონტექსტში ბრიქსის ქვეყნების პოტენციალის შეფასება საჭიროებს როგორც თეორიულ, ისე სტატისტიკურ ანალიზს. (Dobrowolski, Z., Kowalski, P., & Nowak, A. 2025).

ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის ძირითადი კომპონენტები

ბრიქსის ქვეყნები ფლობენ მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს ბუნებრივ რესურსებს. რუსეთი არის ენერგორესურსების მთავარი მომწოდებელი; ბრაზილია გამოირჩევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციითა და ბიომრავალფეროვნებით; ჩინეთსა და ინდოეთს აქვთ უზარმაზარი მოსახლეობა და

შრომითი ბაზარი, ხოლო სამხრეთ აფრიკა ცნობილია მინერალური რესურსებით, განსაკუთრებით – პლატინითა და ოქროთი (UNCTAD, 2023).

ინდოეთსა და ჩინეთში ერთად 2.8 მილიარდზე მეტი მოსახლეა, რაც მათ არა მხოლოდ შრომითი რესურსების უზარმაზარ ბაზრად აქცევს, არამედ ზრდის მომხმარებლური მოთხოვნის პოტენციალს. განათლების დონე, ციფრული უნარები და დემოგრაფიული ტრენდი ქმნის მნიშვნელოვან უპირატესობას გრძელვადიანი განვითარებისათვის (World Bank, 2023).

ბრიქსის ქვეყნები სულ უფრო მეტად იქცევიან უცხოური ინვესტიციების მიზიდულობის ობიექტებად. მაგალითად, 2022 წელს ბრიქსის ქვეყნებმა მიიზიდეს მსოფლიოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაახლოებით 22% (UNCTAD, 2023).

ჩინეთი ლიდერია ტექნოლოგიურ ინოვაციებში, მათ შორის ხელოვნურ ინტელექტსა და მწვანე ენერგიაში, ხოლო ინდოეთი სწრაფად ვითარდება როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების ცენტრი. ტექნოლოგიური ინვესტიციები ქმნის დამატებით პოტენციალს გლობალურ კონკურენციაში მონაწილეობისათვის (Saba, C. S., Adegbite, E., & Yusuf, A. 2025).

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები როგორც ეკონომიკური პოტენციალის ინდიკატორები

ეკონომიკური პოტენციალის ანალიზში მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური მონაცემების გამოყენება (იხ. ცხრილი 1).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბრიქსის საერთო მშპ 2020–2024 წლებში მუდმივად იზრდებოდა და 2024 წლის პროგნოზით 28 ტრილიონ დოლარს გადააჭარბებს, რაც აძლიერებს მათ პოზიციას მსოფლიო ეკონომიკაში. (Kumar, S. 2024).

2022 წელს ბრიქსის ქვეყნებში inward-FDI 470 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, საიდანაც 57%

ცხრილი 1. ბრიქსის ქვეყნების მშპ (მილიარდი აშშ დოლარი, 2020–2024)

ქვეყანა	2020	2021	2022	2023	2024* (პროგნ.)
ბრაზილია	1,449	1,608	1,920	2,131	2,243
რუსეთი	1,478	1,778	2,240	2,250	2,350
ინდოეთი	2,660	3,170	3,730	4,150	4,520
ჩინეთი	14,687	17,820	18,100	18,630	19,200
სამხრეთ აფრიკა	301	419	405	399	412
ჯამი	20,575	24,795	26,395	27,560	28,725

* წყარო: IMF (2023), World Bank (2023).

მოდიოდა ჩინეთზე, 22% – ინდოეთზე, ხოლო დანარჩენი განაწილდა ბრაზილიასა და რუსეთს შორის (UNCTAD, 2023).

ბოსტონ ქონსალტინგ ჯგუფის მონაცემებით, 2024 წლისთვის ბრიქსის წევრებს შორის სავაჭრო ბრუნვა ორჯერ აღემატებოდა ბრიქსისა და G7-ის ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვას (Boston Consulting Group, 2024). ეს ტენდენცია მიუთითებს ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებაზე

თეორიული ხედვები გლობალურ ეკონომიკაში ბრიქსის როლის შესახებ

ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიები მიუთითებენ, რომ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ზრდის წარმოების ეფექტიანობას და ამცირებს სავაჭრო ბარიერებს (Balassa, 1961). ბრიქსის მაგალითი ადასტურებს ამ მიდგომას, ვინაიდან წევრი ქვეყნები თანდათანობით ზრდიან ერთმანეთთან სავაჭრო ბრუნვას და ინვესტიციების ნაკადს.

გლობალური დივერსიფიკაციის თეორიის თანახმად, ეკონომიკები, რომლებიც აერთიანებენ განსხვავებულ სტრუქტურებს – ენერგეტიკული, ინდუსტრიული, აგრარული და ტექნოლოგიური – უკეთესად უძლებენ გლობალურ შოკებს (Krugman, 1980). ბრიქსის ქვეყნების მრავალფეროვანი ეკონომიკური სტრუქტურა სწორედ ასეთ უპირატესობას ქმნის.

გარდა ამისა, სტაბილურობის თეორიები ხაზს უსვამენ ფინანსური ინსტიტუტების როლს გლობალურ ეკონომიკაში (North, 1990). ბრიქსის ქვეყნებმა უკვე დააფუძნეს ახალი განვითარების ბანკი (New Development Bank – NDB), რომლის მიზანია ინფრასტრუქტურულ და ინოვაციურ პროექტებში ფინანსური რესურსების კონცენტრაცია, რაც მათ ეკონომიკურ პოტენციალს კიდევ უფრო აძლიერებს. (Banque de France. 2024, February 13).

ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალი განპირობებულია ბუნებრივი რესურსებით, შრომითი

ბაზრის მასშტაბით, საინვესტიციო მიმზიდველობითა და ტექნოლოგიური განვითარების ტემპებით. სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ მათი წილი მსოფლიო ეკონომიკაში სწრაფად იზრდება და 2023 წელს უკვე 31.5%-ს შეადგენდა (IMF, 2023).

თეორიული ანალიზი მიუთითებს, რომ ბრიქსის ძალა არ შემოიფარგლება ინდივიდუალური ეკონომიკური ზრდით; მათ შორის თანამშრომლობა ქმნის სინერგიას, რომელიც აძლიერებს მათ პოზიციას გლობალურ ბაზარზე. მიუხედავად არსებული გამოწვევებისა – სტრუქტურული უთანასწორობა, ინფრასტრუქტურული ხარვეზები და პოლიტიკური რისკები – ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალი რჩება მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის გარდაქმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად.

თავი II. ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ტენდენციები

ეკონომიკური ზრდის დინამიკა

ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ტენდენციების ანალიზი ცხადყოფს, რომ მათი ზრდის დინამიკა გლობალურ ეკონომიკაში მნიშვნელოვან განსხვავებებს ქმნის. პანდემიის კრიზისის ფონზე 2020 წელს ყველა წევრმა ქვეყანამ ნეგატიური ზრდა განიცადა, თუმცა აღდგენის სიჩქარე და სტრუქტურა მკვეთრად განსხვავებული აღმოჩნდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, 2023 წელს ბრიქსის ბლოკის საშუალო ეკონომიკური ზრდა 4.9%-ს შეადგენდა, მაშინ როცა გლობალური ეკონომიკის საშუალო მაჩვენებელი მხოლოდ 3% იყო (IMF, 2024). ეს განსხვავება მიუთითებს არა მხოლოდ რაოდენობრივ მდგრადობაზე, არამედ იმ ხარისხობრივ ფაქტორებზე, რომლებიც განსაზღვრავს ბრიქსის ბლოკის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას (იხ. ცხრილი 2).

ინდოეთი და ჩინეთი ამ კონტექსტში გამორჩეული ლიდერები არიან. ინდოეთის ეკონომიკამ

ცხრილი 2. ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპები (% წლიურად, 2020–2024)

ქვეყანა	2020	2021	2022	2023	2024* (პროგნ.)
ბრაზილია	-4.1	4.6	3.0	2.9	2.1
რუსეთი	-2.7	4.7	-2.1	2.2	2.6
ინდოეთი	-6.6	8.9	6.8	6.3	6.5
ჩინეთი	2.2	8.4	3.0	5.2	4.8
სამხრეთ აფრიკა	-6.3	4.9	2.0	1.1	1.4
საშუალო	-3.5	6.3	2.9	3.5	3.5

*წყარო: IMF (2024), World Bank (2024).

2021 წელს თითქმის 9%-იანი ზრდა აჩვენა, ხოლო 2022–2023 წლებში სტაბილურად 6%-ის ზემოთ შენარჩუნება შეძლო. აღნიშნული მაჩვენებელი განპირობებულია როგორც შიდა მოთხოვნის ზრდით, ისე მომსახურების სექტორის, განსაკუთრებით საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ფარმაცევტული ინდუსტრიის დინამიკით. ჩინეთის ეკონომიკა, რომელიც 2020 წელსაც დადებით ზრდას იწარჩუნებდა (2.2%), პოსტპანდემიურ პერიოდში სწრაფად აღდგა და 2021 წელს 8.4%-ით გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ წლებში ზრდა შენედა 5%-ის ფარგლებში, ქვეყანა მაინც რჩება მსოფლიო წარმოებისა და ექსპორტის მთავარ ცენტრად (World Bank, 2024).

რუსეთისა და ბრაზილიის მაჩვენებლები შედარებით ცვალებადია. რუსეთის ეკონომიკა 2022 წელს 2%-ზე მეტით შემცირდა, რაც დაკავშირებულია გეოეკონომიკურ შეზღუდვებთან და გლობალური ენერგეტიკული ბაზრების რყევებთან. მიუხედავად ამისა, 2023 წელს ეკონომიკამ პოზიტიური ტემპი აჩვენა, რაც დიდწილად ენერგორესურსების ექსპორტზე მაღალი ფასებით იყო განპირობებული. ბრაზილიის ეკონომიკამ კი პანდემიის შემდეგ სტაბილური, მაგრამ შედარებით დაბალი ზრდა შეინარჩუნა – საშუალოდ 2–3% წელიწადში.

ეს ტენდენცია ასახავს ქვეყნის სტრუქტურულ დამოკიდებულებას სასოფლო-სამეურნეო ექსპორტზე, რომელიც ხშირად ექვემდებარება გლობალური ფასების მერყეობას (UNCTAD, 2023).

სამხრეთ აფრიკის ეკონომიკა ყველაზე მოწყვლადია ბლოკში. პანდემიის შედეგად 2020 წელს 6%-ზე მეტით შემცირების შემდეგ, აღდგენის ტემპები საკმაოდ სუსტი აღმოჩნდა და 2023 წელს მხოლოდ 1%-ის ფარგლებში გაიზარდა. ამის მთავარი მიზეზია სტრუქტურული პრობლემები – ინფრასტრუქტურული დეფიციტი, სოციალური უთანასწორობა და სუსტი საინვესტიციო კლიმატი (World Bank, 2024).

ამგვარად, ბრიქსის ბლოკის ეკონომიკური ზრდის საერთო სურათი ორპირია: ერთი მხრივ, ინდოეთი და ჩინეთი ქმნიან ბლოკის ზრდის ბირთვს, რომლებიც უზრუნველყოფენ საშუალოზე მაღალ მაჩვენებლებს და ქმნიან გლობალური ეკონომიკური დინამიკის მნიშვნელოვან ნაწილს; მეორე მხრივ, ბრაზილიის, რუსეთისა და სამხრეთ აფრიკის შედარებით ნელი და არასტაბილური ზრდა მიუთითებს სტრუქტურულ პრობლემებზე, რომელთა დაძლევა საჭიროებს ინსტიტუციური რეფორმების გაღრმავებასა და ეკონომიკური დივერსიფიკაციის გაძლიერებას. (Cochrane, L. 2024).

საერთაშორისო ვაჭრობა

ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ანალიზში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის ტენდენციები. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მონაცემებით, 2023 წლისთვის მათი წილი გლობალურ სავაჭრო ბრუნვაში უკვე 20%-ს აჭარბებდა (WTO, 2024). ეს ციფრი კარგად აჩვენებს, რომ ბრიქსი აღარ არის მხოლოდ რეგიონული გაერთიანება, არამედ გლობალური სავაჭრო სისტემის ერთ-ერთი წამყვანი ძალა, რომელსაც შეუძლია კონკურენცია გაუწიოს როგორც G7-ს, ისე სხვა მსხვილ ბლოკებს.

ცხრილი 3. ბრიქსის ქვეყნების ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა (ტრილიონი აშშ დოლარი, 2023)

ქვეყანა	ექსპორტი	იმპორტი	სავაჭრო ბალანსი
ბრაზილია	0.34	0.27	+0.07
რუსეთი	0.49	0.28	+0.21
ინდოეთი	0.45	0.59	-0.14
ჩინეთი	3.38	2.55	+0.83
სამხრეთ აფრიკა	0.13	0.12	+0.01
ჯამი	4.79	3.81	+0.98

*წყარო: WTO (2024).

ბლოკის შიგნით ქვეყნები განსხვავებული ეკონომიკური პროფილით გამოირჩევიან, რაც ქმნის ვაჭრობის კომპლემენტარულ სტრუქტურას. ჩინეთი ლიდერია როგორც ექსპორტის, ისე სავაჭრო ბალანსის მაჩვენებლებით – 2023 წელს მისი ექსპორტი 3.3 ტრილიონ დოლარს აღემატებოდა, ხოლო დადებითი ბალანსი თითქმის 1 ტრილიონს შეადგენდა (World Bank, 2024). ეს წარმატება განპირობებულია ინდუსტრიული წარმოების მასშტაბით, ტექნოლოგიური პროდუქციის სწრაფი ზრდით და გლობალურ ბაზრებზე პოზიციების გაძლიერებით.

რუსეთის სავაჭრო პროფილი უმთავრესად ენერგორესურსებზეა დაფუძნებული. 2023 წელს ქვეყანამ 490 მილიარდ დოლარზე მეტი ექსპორტი განახორციელა, საიდანაც ძირითადი ნაწილი ნავთობზე და ბუნებრივ გაზზე მოდიოდა. მაღალი ფასების პირობებში ქვეყანამ შეძლო პოზიტიური სავაჭრო ბალანსის შენარჩუნება, თუმცა მისი



სტრუქტურა მკვეთრად არადივერსიფიცირებული რჩება, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში საფრთხეს ქმნის.

ბრაზილიის ეკონომიკური სიძლიერე აგრარულ სექტორშია. 2023 წელს ექსპორტის მოცულობა 340 მილიარდ დოლარს შეადგენდა, რაც ძირითადად სოიას, ყავასა და ხორცს უკავშირდება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მაღალი მოთხოვნა, განსაკუთრებით აზიურ ბაზრებზე, ბრაზილიას საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს პოზიტიური სავაჭრო ბალანსი, თუმცა მისი დამოკიდებულება სასოფლო-სამეურნეო საქონელზე სტრუქტურულად მოწყვლადს ხდის გლობალური ფასების ცვალებადობის მიმართ (UNCTAD, 2023).

ინდოეთის შემთხვევაში სურათი განსხვავებულია. 2023 წელს ექსპორტის მოცულობა 450 მილიარდ დოლარს შეადგენდა, თუმცა იმპორტმა 590 მილიარდს გადააჭარბა, რის შედეგადაც ქვეყანას 140 მილიარდიანი დეფიციტი დაუგროვდა. დეფიციტის ძირითადი წყარო ენერგორესურსების და სამრეწველო საქონლის მაღალი იმპორტია. მიუხედავად ამისა, ინდოეთის სერვისების ექსპორტი, განსაკუთრებით IT-სფეროში, ზრდის პოზიტიურ პერსპექტივას და ანაზღაურებს საქონლის ვაჭრობაში არსებულ დისბალანსს (IMF, 2024).

სამხრეთ აფრიკის სავაჭრო მაჩვენებლები შედარებით მცირეა, თუმცა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. მისი ექსპორტი 2023 წელს 130 მილიარდ დოლარს შეადგენდა, საიდანაც დიდი ნაწილი პლატინზე და ოქროზე მოდიოდა. მიუხედავად ზომის სიმცირისა, რესურსებზე ორიენტირებული სტრუქტურა ქვეყნისთვის გლობალურ მნიშვნელობას ინარჩუნებს, განსაკუთრებით მეტალურგიული ინდუსტრიების მიწოდების ჯაჭვში. (United Nations Conference on Trade and Development, 2023).

ამრიგად, ბრიქსის ქვეყნების სავაჭრო ტენდენციები ნათლად აჩვენებს განსხვავებულ, მაგრამ ურთიერთშემავსებელ პროფილს: ჩინეთი ტექნოლოგიური და ინდუსტრიული ექსპორტით, ინდოეთი მომსახურებით, რუსეთი ენერგორესურსებით, ბრაზილია სასოფლო-სამეურნეო საქონლით, ხოლო სამხრეთ აფრიკა მინერალური რესურსებით ქმნიან მრავალფეროვან, თუმცა სტრატეგიულად დაბალანსებულ სტრუქტურას. ეს დივერსიფიკაცია, მიუხედავად ინდივიდუალური გამოწვევებისა, უზრუნველყოფს ბლოკის საერთო სავაჭრო პოზიციების განმტკიცებას და ზრდის მათ შესაძლებლობას გლობალური ბაზრების სტაბილურობაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენისათვის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI)

ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს ინდიკატორად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა მიიჩნევა, რადგან ის ნათლად ასახავს საერთაშორისო კაპიტალის ნდობას და ქვეყნის საინვესტიციო მიზიდველობას. ბოლო წლების განმავლობაში ინვესტიციების მოცულობა მკვეთრად გაიზარდა და ამით ბრიქსის ბლოკი მსოფლიო საინვესტიციო რუკაზე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრად იქცა.

ცხრილი 4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) (მილიარდი აშშ დოლარი, 2020-2023)

ქვეყანა	2020	2021	2022	2023
ბრაზილია	28	50	91	92
რუსეთი	10	38	19	20
ინდოეთი	65	83	71	76
ჩინეთი	149	181	189	200
სამხრეთ აფრიკა	3	5	9	8
ჯამი	255	357	379	396

*წყარო: UNCTAD (2023).

გაეროს სავაჭრო და განვითარების კონფერენციის (UNCTAD, 2023) მონაცემებით, 2023 წელს ბრიქსის ქვეყნებში inward-FDI-ით შემოსული 400 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც 2020 წელთან შედარებით დაახლოებით 55%-ით მეტია. ეს ტენდენცია მოუთხოვს, რომ გლობალური ინვესტორები სულ უფრო მეტად აფასებენ ბრიქსის ბაზრების პოტენციალს როგორც ინფრასტრუქტურის, ისე ტექნოლოგიებისა და მწვანე ეკონომიკის მიმართულებით. UNCTAD (2023).

ჩინეთი ინვესტიციების უდიდეს მიმღებად რჩება. 2023 წელს ქვეყანამ დაახლოებით 200 მილიარდი დოლარის პირდაპირი ინვესტიცია მოიზიდა, რაც მთლიანი BRICS ინვესტიციების ნახევარს აღემატება. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ტექნოლოგიურ სექტორში, სადაც ინვესტიციები მიმართულია ხელოვნური ინტელექტის, მწვანე ენერგეტიკისა და ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

ინდოეთი მეორე ადგილზეა ინვესტიციების მოცულობით. 2023 წელს ქვეყანამ 76 მილიარდი დოლარის პირდაპირი ინვესტიცია მიიღო, რაც ძირითადად ინფორმაციული ტექნოლოგიების, ფარმაცევტული ინდუსტრიისა და სერვისების სექტორში ხორციელდება. ეს ტენდენცია ადასტურებს ქვეყნის მზარდ როლს როგორც გლობალური ინოვაციური ჰაბისა.

ბრაზილიის ინვესტიციების ზრდაც საგულისხმოა. 2022-2023 წლებში ქვეყანამ საშუალოდ 90 მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიცია მიიღო, რაც უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო სექტორსა და განახლებად ენერგიებს უკავშირდება. ეს მიუთითებს, რომ ბრაზილია არა მხოლოდ აგრარული პროდუქციის ექსპორტში, არამედ მწვანე ინვესტიციების მიმართულებითაც ხდება კონკურენტუნარიანი.

რუსეთისა და სამხრეთ აფრიკის მაჩვენებლები შედარებით მცირეა, თუმცა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. რუსეთში ინვესტიციების მოცულობა 2023 წელს 20 მილიარდ დოლარს შეადგენდა და ძირითადად ენერგეტიკასა და ბუნებრივ რესურსებზე იყო კონცენტრირებული. სამხრეთ აფრიკაში კი ინვესტიციები 8 მილიარდ დოლარამდე იყო, რაც ქვეყნის ეკონომიკის მცირე მასშტაბს ასახავს, თუმცა მინერალური რესურსების სექტორის გლობალური მნიშვნელობის გათვალისწინებით ინვესტიციების მაინც საინტერესო მიმართულებად რჩება.

საერთო სურათი ცხადყოფს, რომ ბრიქსის ქვეყნებში უცხოური კაპიტალის მოზიდვის ტენდენცია მუდმივად მზარდია. ამ პროცესს ხელს უწყობს შიდა ბაზრების მასშტაბი, დემოგრაფიული რესურსი და სექტორული მრავალფეროვნება. თუმცა საჭიროა აღინიშნოს, რომ ინვესტიციების გეოგრაფიული განაწილება მკვეთრად უთანასწოროა: ძირითადი ნაკადები კონცენტრირებულია ჩინეთსა და ინდოეთში, მაშინ როდესაც სამხრეთ აფრიკა და ნაწილობრივ რუსეთი შედარებით მცირე წილს იკავებენ.

ეს უთანასწორობა ქმნის როგორც გამოწვევას, ისე შესაძლებლობას. ერთი მხრივ, პატარა ეკონომიკები ნაკლებად სარგებლობენ კაპიტალის ნაკადებით, მეორეს მხრივ კი, ბრიქსის შიგნით თანამშრომლობის გაღრმავება და საერთო ფინანსური ინსტიტუტების (მაგალითად, ახალი განვითარების ბანკის) გამოყენება საშუალებას იძლევა ინვესტიციების განაწილება უფრო დაბალანსებული გახდეს.

სექტორული სტრუქტურის ტენდენციები

ბრიქსის ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია მისი სტრუქტურული მრავალფეროვნება, რომელიც თითოეულ ქვეყანას უნიკალურ როლს ანიჭებს გლობალურ ეკონომიკაში. სწორედ ამ მრავალფეროვნებას უკავშირდება მათი საერთო ეკონომიკური სიმძლავრე: სხვადასხვა სექტორზე დაყრდნობით, ისინი ქმნიან კომპლემენტარულ მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს მდგრადობას გლობალური რყევების მიმართ.

ცხრილი 5. სექტორული წილი მშპ-ში (% 2023)

ქვეყანა	აგრარული	ინდუსტრია	სერვისები
ბრაზილია	7	26	67
რუსეთი	4	32	64
ინდოეთი	17	25	58
ჩინეთი	8	39	53
სამხრეთ აფრიკა	2	30	68

*წყარო: World Bank (2024).

ჩინეთის ეკონომიკა მკვეთრად ინდუსტრიული ხასიათისაა. მსოფლიო ბანკის (2024) მონაცემებით, 2023 წელს ინდუსტრიის წილი ქვეყნის მშპ-ში 39%-ს შეადგენდა, რაც წარმოებს, ტექნოლოგიურ ინოვაციებსა და მწვანე ენერგეტიკის განვითარებას უკავშირდება. ჩინეთი არამხოლოდ „მსოფლიო ქარხანად“ რჩება, არამედ თანდათან გადადის მაღალი ღირებულების პროდუქციის წარმოებაზე, რაც ტექნოლოგიური ექსპორტის ზრდაში კარგად ჩანს. (An evolving BRICS and the shifting world order. 2024, April 29).

ინდოეთის ეკონომიკა განსხვავებული პროფილით გამოირჩევა. აქ სერვისების სექტორი წამყვან როლს თამაშობს და მშპ-ის 58%-ზე მეტს შეადგენს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია IT-სექტორი და ფარმაცევტული ინდუსტრია, რომელთა სწრაფი განვითარება ინდოეთს გლობალურ ინოვაციურ ჰაბად აქცევს. ამასთან, აგრარული სექტორი კვლავინდებურად დიდ წილს იკავებს (17%), რაც მიუთითებს ქვეყნის ეკონომიკის ორმაგ ბუნებაზე: ტრადიციულსა და თანამედროვე მიმართულებებს შორის თანაცხოვრებაზე.

რუსეთის ეკონომიკა ენერგეტიკაზეა ორიენტირებული. 2023 წელს ინდუსტრიის წილმა მშპ-ში 32% შეადგინა, საიდანაც უმეტესი ნაწილი ნავთობისა და ბუნებრივი გაზის წარმოებას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ სერვისების სექტორი 64%-ს მოიცავს, რუსეთის ეკონომიკური სტრუქტურა კვლავ მკვეთრად დამოკიდებულია ენერგორესურსებზე, რაც მის გრძელვადიან მდგრადობას გარკვეულ რისკებს უქმნის (IMF, 2024).

ბრაზილიის ეკონომიკური პროფილი აგრარულ სექტორზეა დამყარებული. 2023 წელს სოფლის მეურნეობა მშპ-ის 7%-ს შეადგენდა, თუმცა მისი მნიშვნელობა გაცილებით აღემატება სტატისტიკურ მაჩვენებლებს, რადგან ქვეყანა მსოფლიო ბაზრისთვის სოიოს, ყავისა და ხორცის ერთ-ერთი



უმთავრესი მომწოდებელია. ინდუსტრიისა და სერვისების წილი შესაბამისად 26% და 67%-ია, რაც მიუთითებს, რომ აგრარული სიძლიერე ემყარება მომსახურებისა და ტრანსპორტის განვითარებულ სისტემას (World Bank, 2024).

სამხრეთ აფრიკა სტრუქტურულად ყველაზე მეტად არის დამოკიდებული მინერალურ რესურსებზე. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის წილი მხოლოდ 2%-ია, ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი როლი უკავია მეტალურგიასა და საბადოების ექსპლუატაციას. ინდუსტრიის წილი მშპ-ში 30%-ია, ხოლო სერვისების – 68%, თუმცა ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობა მაინც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პლატინისა და ოქროს ექსპორტზე. (Fliagin, D., Ivanov, V., & Petrova, E. 2025).

ამ სურათის საფუძველზე აშკარა ხდება, რომ ბრიქსის ქვეყნები ქმნიან ურთიერთშემავსებელ მოდელს: ჩინეთი და ინდოეთი ტექნოლოგიებითა და სერვისებით, რუსეთი ენერგორესურსებით, ბრაზილია აგრარულ პროდუქტებით, ხოლო სამხრეთ აფრიკა მინერალური რესურსებით ერთობლივად ქმნიან ეკონომიკურ სტრუქტურას, რომელიც საშუალებას აძლევს მათ მნიშვნელოვნად შეამცირონ გლობალური შოკების რისკი და განამტკიცონ საკუთარი პოზიციები საერთაშორისო ბაზრებზე. სწორედ ეს სტრუქტურული მრავალფეროვნება ქმნის ბრიქსის ეკონომიკური პოტენციალის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საფუძველს.

ინდოეთსა და ჩინეთში სამუშაო ძალის ზომა 1.2 მილიარდზე მეტია, რაც წარმოადგენს მსოფლიო შრომითი ბაზრის თითქმის 40%-ს (ILO, 2024). ეს ქმნის როგორც ეკონომიკურ შესაძლებლობებს (დაბალი წარმოების ხარჯები, შიდა მოთხოვნა), ასევე გამოწვევებს (დასაქმების მაღალი საჭიროება, განათლების ხარისხი).

ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ტენდენციები ცხადყოფს: ბრიქსის ქვეყნები ინარჩუნებენ მაღალი ზრდის ტემპს, განსაკუთრებით ინდოეთი და ჩინეთი; ბრიქსის ქვეყნების წილი მსოფლიო ვაჭრობაში და ინვესტიციებში წლიდან წლამდე იზრდება; ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური სტრუქტურის მრავალფეროვნება ქმნის კომპლემენტარულ უპირატესობას; გრძელვადიან პერსპექტივაში ბრიქსი თანდათან გადაიქცევა გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ საყრდენად.

დასკვნა

სტატიის ფარგლებში განხილულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ბრიქსის ქვეყნები დღეს არა მხოლოდ

რეგიონული, არამედ გლობალური ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენია. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მათი წილი მსოფლიო მშპ-ში უკვე 30%-ს აღემატება, ხოლო ეკონომიკური ზრდის ტემპები მნიშვნელოვანწილად სჯობნის გლობალურ საშუალო მაჩვენებლებს (IMF, 2024). ეს დინამიკა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ინდოეთსა და ჩინეთში, სადაც ეკონომიკური ზრდა ბოლო წლებში სტაბილურად 5–6%-ის ფარგლებში რჩება.

სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ბრიქსის ეკონომიკური სიძლიერე მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებლებში არ გამოიხატება. მათ სტრუქტურული მრავალფეროვნება – ინდოეთისა და ჩინეთის ტექნოლოგიური და სერვისული დომინანტობა, რუსეთის ენერგეტიკული რესურსები, ბრაზილიის აგრარული ბაზარი და სამხრეთ აფრიკის მინერალური სიმდიდრე – ქმნის ისეთ კომპლემენტარულ სტრუქტურას, რომელიც ბლოკს საშუალებას აძლევს კონკურენტუნარიანად უპასუხოს გლობალური ბაზრების ცვლილებებს.

დემოგრაფიული ფაქტორები ასევე მნიშვნელოვან უპირატესობას ქმნის: ინდოეთსა და ჩინეთში შრომითი ბაზარი მსოფლიო სამუშაო ძალის თითქმის 40%-ს შეადგენს (ILO, 2024), რაც ზრდის როგორც წარმოების მასშტაბებს, ისე შიდა მოთხოვნას. ამასთან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2023 წელს 400 მილიარდ დოლარს გადააჭარბა (UNCTAD, 2023), რაც მიუთითებს ბრიქსის მზარდ როლზე როგორც გლობალური კაპიტალის მიმღებ ბაზარზე.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ბრიქსის ბლოკის მნიშვნელობა ზრდადი ტრენდით ხასიათდება არა მხოლოდ ეკონომიკური მაჩვენებლების მასშტაბით, არამედ სტრუქტურული მდგრადობისა და გლობალური ეკონომიკური ნებსრიგის ტრანსფორმაციის თვალსაზრისითაც. ბლოკის განვითარების ტენდენციები ცხადყოფს, რომ მათი ეკონომიკური ინტეგრაცია, დივერსიფიცირებული სტრუქტურა და დემოგრაფიული რესურსი ქმნის წინაპირობას, რომ ბრიქსი მომავალში იქცეს მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ ბირთვად. ამასთან, მათი სრული პოტენციალის რეალიზება საჭიროებს შიდა სტრუქტურული პრობლემების – უთანასწორობის, ინფრასტრუქტურული დეფიციტისა და ინსტიტუციური სისუსტეების გადალახვას, რაც უზრუნველყოფს მათ გრძელვადიან სტაბილურობასა და კონკურენტუნარიანობას.